

მარიამ არსენაშვილი

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

LCC International University, Lithuania

„Erasmus+ გაცვლით პროგრამაზე ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს გავიგე და გადაწყვიტე, რომ ერთ დღეს მეც აუცილებლად ვისარგებლებდი ამ საოცარი შესაძლებლობით. ასეც მოხდა და ერთი აკადემიური სემესტრი ლიეტუვაში LLC International University-ში გავატარე. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან მეგონა, გამიჭირდებოდა ახალ გარემოსთან შეგუება, საერთოდ არ აღმოვჩნდი მართალი და ჩასვლის დღესვე, უნივერსიტეტში არსებული საოცრად მეგობრული ატმოსფეროს წყალობით, დაიწყო ჩემი ძალიან საინტერესო და დადებითი ემოციებით სავსე ცხოვრება. იქ გატარებული რამდენიმე თვის განმავლობაში, ვისწავლე დამოუკიდებლობა, რამაც, რა თქმა უნდა, პიროვნული ზრდის საშუალება მომცა. გარდა ამისა, გავიცანი უამრავი ადამიანი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, გავიგე მათი კულტურისა თუ მსოფლმხედველობის შესახებ და ბევრი მათგანი დღემდე ჩემთვის უძვირფასეს მეგობრად რჩება. ასევე ვიმოგზაურე ევროპის სხვა ქვეყნებში და დავაგროვე ძალიან ბევრი დაუვიწყარი და ბედნიერი მოგონება.

სტუდენტური ღონისძიებები, რომლებსაც LCC ჩვენთვის გეგმავდა, იყო ძალიან მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი. სწავლის სისტემა კავკასიის უნივერსიტეტისგან განსხვავდებოდა, თუმცა მასთან ადაპტაცია რთული არ იყო და, პირიქით, საინტერესო გამოცდილებად იქცა. ჩემი ლექტორები ამერიკელი პროფესორები იყვნენ, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალები და უზომოდ მეგობრულები, იმდენად, რომ ზოგიერთთან კონტაქტი დღემდე მაქვს. სალექციო პროცესი მუდმივად დატვირთული იყო ინტერაქციული აქტივობებით, რომლებიც სწავლას ნამდვილად აადვილებდა და გაცილებით მიმზიდველს ხდიდა.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ Erasmus-მა ნამდვილად ყველა მოლოდინი გაამართლა. ჩემთვის ეს იყო კომფორტის ზონიდან გამოსვლისა და პიროვნული განვითარების უდიდესი შესაძლებლობა, რომელმაც სამშობლოში გაცილებით თავდაჯერებული დამაბრუნა.“